საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

პარასკევი მაისი 20
1921 წ.
№ 66
ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულდამწუხარი დობილი ანეტა ალექსის ასული სამსონაძისა აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს თავის ძვირფასი ძმობილის

**ნიკა მასხარაშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას ს. პატარა ონში. 1010

## საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის დადგენილებით ქ. ტფილისში მაისის 22-სათვის დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების

## კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

კონფერენციის განსახილავ საგნებად დანიშნულია:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება,
2. საკონტროლო კომისიის მოხსენება,
3. მოხსენებები ადგილებიდან,
4. სამეცადინეო გეგმა და საორგანიზაციო საკითხები,
5. კაპიტალიზმი და მსოფლიო რევოლიუცია,
6. ინტერნაციონალი,
7. არჩევნები ცენტრალურ კომიტეტისა და საკონტროლო კომისიისა და
8. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 50 წევრზე ერთი დელეგატი, სადაც ამაზე ნაკლებია მაინც ერთი. **კონფერენცია ნებადართულია.**

დელეგატები ჩამოსვლისას მიმართავენ ამხ. ლომთაძეს (საღამოს 4—6 ს.) —ჰავჰავაძის ქ. № 9. ყოველგვარი მიმოწერა ცენტრალურ კომიტეტთან, კონფერენციამდე, ამავე მისამართით უნდა აწარმოოთ.

961 **საქართ. ახალ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტი.**

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად სიფილისი (914 ⑥ 606
სქესობრივი უძლურება, ვენერიული
ხუხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

# ფურცლები

27

გუშინდელს გაზეთში ცნობა იყო ამ.-კავკასიის რკინის გზების პროფკავშირების გაერთიანების შესახებ. გუშინ „პრავდა გრუზიაში“ უკვე საამისო წერილია დაბეჭდილი მოქ. ბახუტოვისა. წერილი დასტამბულია სადისკუსიო მიზნით და ამას გულისხმობს, რომ საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გამორკვეული და გადაწყვეტილი.

ძალიან კარგია ასეთი წესი საკითხების წამოყენებისათვის. პრესას დიდი დახმარების გაწევა შეუძლიან წინასწარ მუშაობაში და საზოგადოებრივი ატმოსფერის გამორკვევაში; თუმცა ამ ჟამად ეს წესი სავსებით არ არის დაცული. თუ საკითხი, რომელზედაც ჩვენ ვწერთ სადისკუსიოა, ესე იგი საკამათო და საძიებელია, მაშინ რათ არის უკვე საორგანიზაციო ბიურო შექმნილი? საორგანიზაციო ბიურო თავში კი არ უნდა შეიქმნეს, არამედ მაშინ, როცა საკითხს საბოლოოდ გამოარკვევენ. წარმოვიდგინოთ, რომ არ იქნება მიღებული, მოწონებული და დადასტურებული შეერთება (слиты, როგორც ბახუტოვი ამბობს) რკინის გზის კავშირებისა. მაშინ ხომ უნდა დავანგრიოთ საორგანიზაციო ბიურო? შენობის აგება დანგრევისათვის თანამედროვე სიძვირეში მიუტევებელია და არც გონივრული. და თუ ბიუროს შექმნა ფაქტიურად საკითხის გადაწყვეტაა მაშინ ჩვენ ვეკითხებით ბახუტოვს თვითონ გადასწყვიტა ეს საკითხი?

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს კომუნისტებს იგი საკითხი არ აქვთ გადაწყვეტილი და ბახუტოვმა თუ უკვე გადასწყვიტა, ჩვენ მას ვეუბნებით: თქვენ საქართველოში ხართ და ნაბიჯები გადასდგით, ბიუროები შექმენით მხოლოდ საქართველოს ძალების მიერ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ.

ნუ გონია მოქალაქე ბახუტოვს, რომ საქართველოს მკვიდრ მოქალაქეების თავის ქალაში მხოლოდ შოვინიზმის ნაპუპია ჩადებული. არა, ბახუტოვების ხსენებაც არ არსებობდა მსოფლიოში. როცა საქართველო, როგორც ქვეყანა წ ეროვნება უმაღლეს მარადიულ და საკაცობრიო აზრებს ქადაგებდა. გარწმუნებთ მოქალაქე ბახუტოვო, ბევრს შოვინისტ ქართველის სულში მეტი საკაცობრიო და მსოფლიო მიზნებია ჩანერგილი ვიდრე ბევრი იმ ადამიანების არსებაში, რომელნიც ასე წარა-მარა ისტერიულად კივიან კოსმოპოლიტიზმის ხმას.

უდიდესი საკაცობრიო საქმე ის კი არ გახლავთ, რომ პატარა ერის ინტერესები განზე დატოვოთ დიდი მიზნებისათვის, არამედ დიდი ერით და დიდი მიზნით პატარა ერი შეინახოთ, გაფურჩქნოთ პატარა ერის ძალა, დაიცვათ მისი სული, სპეტაკი გრძნობა და მომმართოდ იგი მშობლიურიდან საკაცობრიოსაკენ, ნაციონალურიდან ინტერნაციონალურისაკენ.

ვრცელი შეცდომა გავასწორო ჩემ მიერ ჩადენილი. მეტად დიდის მასშტაბით მიუდექით მოქალაქე ბახმუტოვს. ვინძლო მან ვერასოდეს გაგვიგოს! მაგრამ საკითხი თავისთავად არც ისე პატარაა, როგორც საორგანიზაციო ბიურო და ჩვენ სავსებით ვეთანხმებით „პრ. გრუზიი“-ს რედაქციას, რომ ბახმუტოვის ნაბიჯი აჩქარებულად მიუჩნევია, ბახმუტოვის გატაცებისათვის ლაგამი ამოდვია და საკითხი სადისკუსიოდ მიუჩნევია.

მიიღეთ ჩვენი აზრი ამ საკითხზე. უკანასკნელ დროის გაერთიანების პოლიტიკის მეთვალყურებს ერთი რამ ახასიათებს. მიჯელობენ თუ სწერენ ისინი მუდამ კამათით იწყებენ საქმეს თუმცა მოკამათე ხშირად არა სჩანს. გეგონებათ ამ კაცების ზურგს უკან ვიღაც ჩირადდანით დამდგარა და ნაციონალურ შუქს აფენს არე-მარეს, ხოლო ეს ბახმუტოვები ამ იდუმალ ჩირადდანს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ, ნათლავენ მას ხან ზოოლოგიურ ტიპად, ხან შოვინიზმად, ხან კონტრ-რევოლიუციურ მოვლენად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დემაგოგიას და ფანდებს საბოლოოდ უნდა გამოვეთხოვოთ და აჩრდილებს ნუღარ ვებრძვით, საკითხებს პირდაპირ და პირუთვნელად შევხედოთ.

საჭიროა თუ არა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა რკინის-გზის მუშათა კავშირები შეკავშირებულნი იყვნენ?—ამ კითხვაზე ჩვენში არ არსებობს ორი აზრი. შეკავშირება აუცილებლივ საჭიროა. სრული კონტაქტი, სრული გაგება მოვლენისა, ერთად ბრძოლა საერთო მიზნებისათვის—ეს ბუნებრივი ინტერესია ერთი კლასის. ერთი მდგომარეობის ხალხისა, მაგრამ რად ვერ წარმოუდგენია მოქალაქე ბახმუტოვს, რომ საერთო მიზნის შესრულებისათვის სრულებით საჭირო არ არის მხოლოდ ერთი რაზმის შედგენა, სხვა და სხვა სახის ძალების გათქვეფა და შედუღება?

ეს დიდი პრინციპიალური საკითხია და სამუდამოდ უნდა გამოვარკვიოთ საფუძვლიანად, რომ მიღებული პრინციპი ცხოვრების ყოველს დარგში გავატაროთ. საერთაშორისო რევოლიუცია დიდი საერთო საქმეა, მაგრამ ამ საქმეს გააკეთებს რევოლიუციით დაინტერესებული ყველა ერის ძალა, როგორც ასეთისა და ნურავის გონია, რომ რაკი რევოლიუცია ერთია, როგორც მიზანი. ამიტომ ყველა ერმა და ყველა ქვეყანამ თავის არსებობას, როგორც ასეთს, ჯვარი დაუსვან, შექმნას ერთი ლევიათანი—სახელმწიფო და რევოლიუციაც მხოლოდ ამით გაიმარჯვებს. ასე რომ იყოს, რევოლიუციაც მარადიულ ოცნებად დარჩებოდა მხოლოდ.

ჩვენ საერთო მიზნებს ვერასოდეს დავივიწყებთ, საერთო საქმეში ჩვენი სამშობლოც შესაფერს წილს მიიტანს ყოველის დარგით, ყოველის საშუალებით, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ჩვენით, ესე იგი ჩვენი ხალხის არსებობით, მისი კულტურის განმტკიცებით და განვითარებით.

ბახმუტოვი ამბობს, რომ ერთი კავშირი უნდა შევქმნათ ამიერ-კავკასიისათვის. გავაგრძელოთ ეს დებულება ლოლიკურად. საერთო კავშირს სჭირია საერთო ენა. უნდა გადავდოთ ქართული, თათრული და სომხური, საერთო ენაზე უნდა მოვამზადოთ მოწაფეები სკოლაში, ხოლო თავისუფალი ლაპარაკისათვის უნდა მივეჩვიოთ ოჯახში და საზოგადოებაში საერთო ენით ვაჭრობას.

მარტო რკინის გზა ხომ ასეთ მდგომარეობაში არ არის. რა უფლების ძალით უნდა შევინახოთ ქართული ენა ოჯახში თუ ბახმუტოვის ლოღიკას მივყვებით? ომში ხომ ერთი ენა სჯობიან მრავალ ენას? რკინის გზა რა გამონაკლისია ისეთი, რომ მარტო იგი ჩავაყენოთ განსაკუთრებულს პირობებში? განა მეორე ბახმუტოვი იმავე იმავე ლოღიკით არ იტყვის ტელეგრაფზე, ფოსტაზე, ვაჭრობაზე, მრეწველობაზე, კოოპერაციაზე, სკოლაზე, თეატრზე და ყველაფერზე?

შეიძლება მოქალაქე ბახმუტოვისათვის ძალიანაც სასურველი იყოს ჩვენი ცხოვრების ყოველი დარგის ასე უკულმართად მოწყობა, მაგრამ ამ მიზანს და საქმეს ბახუტოვი სოციალიზმის, რაციონალიზმის და რევოლიუციის სახელით თავზე ნუ მოგვახვევს.

ჩვენც ცოტაოდენი რამ გაგვეგება სოციალიზმის ანა-ბანის, მცირეოდენი წარმოდგენაცა გვაქვს რევოლიუციის, არც მსოფლიო მოძრაობის გვეშინიან, მაგრამ, მართალი გითხრათ, ბახმუტოვის აზრში არც რევოლიუციაა, არც მსოფლიოა, არც რაციონალიზმი. იგი ცუდი ხარისხის პირწავარდნილი შოვინიზმია თუმცა მოქალაქე ბახმუტოვი სხვებში ეძებს და ხედავს შოვინისტებს. ჩვენს ხალხს ანდაზა აქვს—მელას რაც ესიზმრებოდა ის ელანდებოდაო, ბახმუტოვსაც შოვინიზმი აგონდება ვინაიდან იგი შოვინიზმით გაჟღენთილია და გადაჭრით უნდა უთხრათ მ ოქ. ბახმუტოვს: ბახმუტოვის შოვინიზმს ბახუტაშვილის შოვინიზმი სჯობიან ჩვენში თუ მაინცა და მაინც შოვინიზმის მოშორება არ შეიძლება, სწორედ ისე, როგორც რუსეთში ბახმუტოვის შოვინიზმი სჯობიან ბახუტაშვილის შოვინიზმს.

ჩვენ მივესალმებით ყველა დარგში, ყველა სფეროში შეკავშირების იდეას ფედერაციის ნიადაგზე, მაგრამ შეერთება, слияние ფედერაცია და კავშირი არ არის, „სლიანიე“-ს ნაციონალური პოლიტიკა გეხლავსთ ასიმილიაცია, ცენტრალიზმი, ბიუროკრატიზმი, ჩვენ კი რევოლიუციამ გვასწავლა: პირველიც, მეორეც და მესამეც მოგასპობია.

თედო ღლონტი.

# ხელოვნება და შემოქმედება.

(დასასრული*)

შექსპირის დიდებული დრამები არც პროლეტარულია, არც ბურჟუაზიულია.

არც ბეთჰოვენს, არც ბერლიოზს და არც სკრიაბინს თავისი ნაწარმოებნი ერთ რომელიმე განსაზღვრულ კლასისთვის არ დაუწერიათ.

სკრიაბინი დიდი რევოლიუციონური იყო თავის მუსიკალურ შემოქმედებით. მან იგრძნო ადრევე იგრძნო რუსეთის დიდებულ რევოლიუციის მოახლოვება, პროლეტარიატის სულის კვეთება, მაგრამ მისი შემოქმედება, ის ახალი მუსიკალური კასკადი, რომელიც გაბრწყინდა უცნაური სახით, დარჩა ზე-კლასიური, მიუდგომელი ყველა წრეებთან და ყოველ ხაზებთან.

დოსტოევსკი უფრო ყველაზედ კარგად გრძნობდა რუსეთის „ხვეს“ და დიადი სულის ურაგანით განიცადა რუსეთის ხალხის ჭრილობები. ამ გენიოსმა ანატომიური დანით გათალა ადამიანის სხეული და „აკუწულ სულს“ რომ შეუძლებელი ყოფილიყო პსიხიატრიულ საავადმყოფოში წაიღებდა და იქ კიდევ მიკროსკოპით გაშინჯავდა.

დოსტოევსკის „კარამაზოვჩინა“—ეს მეორე გოგოლის „ტროიკაა“ და საშინელი ინკვიზიტორის ხელით გადაშალა მწერალმა რუსეთის ბუნება.

დოსტოევსკიმ წინასწარ განსჭვრიტა რუსეთის ტრაგედია, წინასწარ იგრძნო ის ასაფეთქებელი მასალა, რომელიც რევოლიუციურ ცეცხლში უნდა გადავარდნილიყო.

აი რას ამბობს დოსტოევსკი, თეოდორე კარამაზოვის სახით: „რისთვის გვიყვარს რუსეთი? მე მძაგს ეს რუსეთი. ეს რუსეთი უნდა მოისპოსო“ და ამავე დროს კი ყველანი სტირიან, რუსეთზე. ტურგენევის გმირებიდან დაწყებული ჩეხოვის გმირების გათავებამდის. „ჩვენ ვილუპებით და იშვებიან ახალი ხალხი ისინი შექმნიან ახალ რუსეთსო“.

ხელოვნება სულის წრაფვით წინ უსწრობს ცხოვრებას. რომანტიზმი ბევრნაირად არის დამოკიდებული შექსპირის ჰამლეტთან, დანტე და პეტრარკა კი იტალიის რენესანსთან.

ნამდვილ ხელოვნებისათვის ხელმისაწვდომია ყოველ ადამიანის სულის კვეთება. იგი ისევე ადვილად გაიგებს პროლეტარიატის ტკივილებს, როგორც ბურჟუაზიის სურვილებს.

*) იხ. „სოც.-ფედ.“ № 64.

ემილ ვერჰარნისთვის არ იყო უცხო არც არისტოკრატია და არც პროლეტარიატი. იგი ერთნაირი „პოეტური გაგებით“ ჩასწვდა მეოცე საუკუნის კულტურას და უცნაურად აამეტყველა თანამედროვე ადამიანის ელექტრონული ლტოლვა.

ყველაზედ ახლო პროლეტარიატთან სდგას მაქსიმ გორკი. მაგრამ ვის შეუძლიან სთქვას რომ გორკი პროლეტარიატის მწერალია მხოლოდ, მისი შემოქმედება პროლეტარულია. და სხვა.. გორკის „ნაძირალები“ ერთნაირი ესტეტიური გავლენით მოქმედობს ყველა წრეებზე და მისი მხატვრული ღირებულობა ყველასათვის ძვირფასია.

ჰ. ჰაუპტმანის „ფეიქრებში“ წამოყენებულია მთელი რიგი მუშათა და სოციალური საკითხები, მაგრამ ერთს წუთსაც ფიქრად არავის მოუვა რომ იგი დაწერილი იყოს ერთ რომელიმე განსაზღვრულ კლასისთვის და მისი ესტეტიური ღირებულება საყურადღებო იყოს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატისთვის.

ოსკარ უაილდის ნაწარმოებნი, სადაც აწერილია უპირველესად არისტოკრატიული წოდება და თვით დიდებულ მწერლის უაღრესი არისტოკრატიული სულისწრაფვა, განა პროლეტარიატისთვის გასაგები არაა.

ხელოვნება უნდა დაფასდეს არა შინაარსის ტენდენციური გამოსახვით, არამედ მხატვრული დამთავრებით და ესტეტიური გაგებით.

შემოქმედება თხოულობს სიცოცხლის დიდ ნებას და ხელოვანისგან ზეცით მონაბერ დიდ ნიჭს. შთაგონება და ძალა აღმაფრენისა—აი ერთი უდიდესი პოტენციალი შემოქმედების განდიდებისთვის.

მუშა-პროლეტარი თუ გინდ იგი იყოს დიდი ნიჭით დაჯილდოვებული მაგრამ დაზგასთან მიკრული—ვერაფერს შეჰქმნის.

მუშა, რომელიც თვის არსებაში გრძნობს „ღვთიურ ცეცხლს“ მან უნდა სამუდამოდ თავი დაანებოს თვის საქმეს და გახდეს უსაქმური. საქმე (რომელშიც იგულისხმება ფიზიკური შრომა უმთავრესად) სწყვეტს სრულიად შემოქმედების უნარს ადამიანის არსებაში. საჭიროა შენი თავი გაანთავისუფლო ყოველ დღიურ შრომისაგან რომ ფანტასტიკას დაუახლოვდე, რომელიც მოგანახვინებს შემოქმედების გზას.

„ადამიანი, ამბობს ვიქტორ ჰიუგო, რომელიც მხოლოდ თავის თავს ჩასცქერის უსაქმო არი. შრომა არის უხილავი და ხილული, განჭვრეტა და შემეცნება—იგივეა რაც ხვნა-თესვა. აზროვნებაც—მოქმედებაა. გულხელდაკრეფილი ხელები მუშაობენ, თვალი მიპყრობილი ზეცისკენ—საქმეა“.

აი მარტივი და ნამდვილი დახასიათება ხელოვნის და მისი შემოქმედების ხასიათის:

ხელოვანს და შემოქმედების წარმოშობას განსაკუთრებული პირობები სჭირია. ამიტომ იგი ვერც სიცივეს აიტანს ვერც სიცხეს.

ხელოვნება—ეს ის ყვავილია რომელსაც თუ მიწა არ შეურჩიე და სათუთად არ მოუარე ამოშრება და სრულიად გაქრება და რაც გინდ სამწუხარო არ იყოს ჰეინეს აზრი რომ „რევოლიუციის ალი აქრობს პოეზიის ჩირაღდანსო“ ცხოვრებაში მაინც მართლდება და იმის მაგივრად რომ რევოლიუციის დროს ხელოვნება აყვავდეს—იგი ერთ წერტილზე ჩქვავდება და ხშირად რევოლიუციონურ ტალღებშივე იძირება ხელოვანის შემოქმედება.

უნდა გადიაროს რევოლიუციის ქარიშხალმა, ნგრევის პროცესი დასრულდეს და დადგეს ხანა აღმშენებლობისა რომ ხელოვნებამ ახალი სიტყვა სთქვას.

ჩვენ გარიჟრაჟის წინაშე ვსდგევართ მსოფლიოს დიდი ქარტეხილის წინ, სადაც უნდა მოხდეს დატეხა უკანასკნელ ნაშთების.

ის რაც დღეს ხდება ყოველი ხელოვანი უკვე სჭვრეტს და განიცდის რევოლიუციონურ მფეთქებას, ხოლო შემოქმედების პოტენციალობისათვის საჭირო ნერვების დალაგება რომ შემდეგ დინამიური ხმაურით გადავიდეს ახალი ხელოვნება ახალი ქვეყნისკენ, ახალ ლიტურღიით, ახალ ფორმის ჩამოსხმით.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ მოისპოს ის პრიმიტიული შეხედულობა რომელიც არსებობს ხელოვნებაზე და ყველამ გაიგოს რომ ხელოვნება არ იყოფა არც ერთ კატეგორიით.

ხელოვნებას ერთი მიზანი აქვს.

დიდი გავლენა ყველა წრეებზე.

და მისი სახე:

ეს—ჰარმონიული უკვდავება.

ვახტანგ გარრიკი.

## ანგორის სამხედრო ცნობა

**ბათომი** მაისის 16. 15 მაისს ანგორის სამხედრო ცნობის თანახმად „სოჯაღლის რაიონში სწარმოებდა თოფის და საარტილერიო სროლა. ჩვენი მზვერავების ამ შეტაკების შედეგათ მოპირდაპირემ დატოვა თავისი პოზიციები. მოპირდაპირეს მაშველი ჯარი გაფანტული იქმნა ჩვენი ცეცხლით. ბრუსის მიმართულებით საარტილერიო სროლა, ხოჯას სამხრეთით მოპირდაპირე უკუქცეულია, მოწინაამღდეგის ცდა, რომელიც შესდგებოდა ქვეითა ჯარისაგან და კავალერიისაგან, რომ წაეწიათ წინ ენიგეის ამომსავლეთით მოგერებულია. მოწინააღმდეგე დაბრუნდა წინანდელ პოზიციებზე, ყარა ლაჩის რაიონში ჩვენმა რაზმმა ააფეთქა ხორტონის ხიდი, აიდინის და მესოპატამიის ფრონტებზე სიწყნარეა“.

## სომხეთში

**სავაჭრო ოპერაციები სპარსეთში.**

საბჭოთა სომხეთის მთავრობის და ცენტროკავშირის სავაჭრო აგენტები სპარსეთში შეუდგნენ სურსათის შესყიდვას. შექმნილია მთლიანი შემსყიდველი ორგანო, რომლის წყალობითაც თავიდან აცილებულია საქმის სეპარატიულად მოგვარების შესაძლებლობა. ამ გვარად ჩრდილო სპარსეთში საბჭოთა სავაჭრო მისიების მოქმედებას საფუძვლათ დაედო ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების შეთანხმება. ამ ორგანოს დაარსებამდე ნასყიდი ხორბალი უკვე მოდის და ბაზარზე სასურველ გავლენას ახდენს. განზრახულია მთელი რიგი დიდი სავაჭრო საქმეები. მიღწეულია შეთანხმება ბაქოსთან, რომელიც ვალდებულია, რომ სომხეთის მთავრობას მიუტანოს 400—500 ათასი ფუთი ხორბალი, ნედლი მასალა და კონსერვები.

სპარსეთიდან მოსული ცნობით თანახმად, რუსეთის ბაზრების გახსნის მოლოდინში, სპარსეთში მოგროვდა ბევრი პროდუქტები.

**ბრძოლა ეპიდემიასთან.**

**ერევანი.** მაისის 16. სახალხო ჯანმთელობის კომისარიატმა დაარსა საგანგებო კომისია გადამდებ ავათმყოფობასთან საბრძოლველათ. შეუდგნენ სასწრაფო მუშაობას საბჭოთა ამბულატორიების მოსაწყობათ. შემჩნეულია საექიმო პერსონალის დიდი საჭიროება.

## აფხაზეთში

**აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა.**

მაისის 20-სთვის მოწვეულია აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა. სხვა და სხვა ადგილიდან ჩამოსულ წარმომადგენლებისთვის განთავისუფლებულია საბჭოს სახლი. აბკავროსტას განზრახული აქვს ყრილობის გახსნის დროისთვის გამოსცეს საგანგებო კედლის სინათლის გაზეთი, რომელიც მიძღვნილი იქნება ყრილობისადმი.

**სოხუმ-გულრიფში.**

სოხუმსა და კურორტ გულრიფშის შორის (სოხუმიდან 11 ვერსია) გაჰყავთ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა. უკვე დაიწყო მუშაობა რელსების დასაწყობად.

**აგიტაცია მოსახლეობის შორის.**

**სოხუმი.** აბკავროსტამ გაგრაში, გუდაუთაში და სხვა ადგილებში გახსნა აგიტ-პუნქტები. აფხაზეთის ყველა რაიონებში დაგზავნილია სპეციალური ინსტრუქტორები აბკავროსტას ადგილობრივ განყოფილებათა მოსაწყობად. ღებულობენ ენერგიულ ზომებს, რათა მჭიდრო კავშირი დამყარდეს რაიონებს შორის — ადგილებიდან ინფორმაციის მისაღებად.

## ბათომში

**ბათომის ოლქის პოლიტიკურ განყოფილების მოწოდება.**

**ბათომი,** მაისის 12. ბათომის ოლქის პოლიტიკურმა განყოფილებამ შემდეგი მოწოდებით მიმართა ყველა მცხოვრებთ: „ქართველი პროლეტარიატი განთავისუფლდა მენშევიკების ძალადობისაგან. მენშევიკები სამარცხვინოდ გაიქცნენ. იმათი შერცხვენა საუკუნოა, რადგან გარდა მშრომელი ხალხის ინტერესების ღალატისა იმპერიალისტების გულისთვის ბანდიტებმა უსირცხვილოდ გაცარცვეს საქართველოს ახალგაზდა რევოლიუციონური პროლეტარიატი სულით გამხნევდა ფოლადის რგოლით ის შეუკავშირდა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და მისი აღთქმაა მთელი ქვეყნიერების მშრომელ ხალხთა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. როგორც საერთაშორისო რევოლიუციის და პროლეტარულ ცხოვრების სოციალისტურად მოწყობის მოწინავე რაზმი, ჩვენ ყველამ, როგორც ერთმა, უნდა გვახსოვდეს, რომ ძალა მხოლოდ, ერთობაშია მენშევიკების სამარცხვინო საქმეს აქ ადგილობრივ ჰყავს თავისი იდეოლოგები, საქართველოს რევოლიუციონურ პროლეტარიატის თვალში გაკოტრებული „ტურისტ“ მენშევიკების „თანაგრძნობი საბჭოთა ხელისუფლებაზე ცილისწამებით სცდილობდნენ მისი ბურჯების შერყევას. ტყუილად, ისტორია და ფაქტები საბჭოთა სოციალისტურ ხელისუფლებთა მხარეზეა. რყევას არ უნდა ექმნეს ადგილი ლოზუნგი ერთია— მჭიდროთ ვეყრდეთ ჩაქუჩისა და ნამგალთან აპელგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ბედნიერებისა და დიდებისათვის. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

**ქუთილი განზრახვა**

განზრახულია ბათუმის საბაჟო და სახალხო სადგურის ცენტრიდან ქალაქის მოშორებით გადატანა. დამუშავებულია პროექტები კანალიზაციისა და ჭაობისა და ანგისის დაშრობის შესახებ. ჭაობისა და ანგისის მცხოვრებლებმა პირობა დასდეს, რომ ისინი ამ პროექტების განსახორციელებლად უფასო მუშა ხელს მიაწოდებენ.

## 26 მაისის სადღესასწაულოთ

საქართველოს რევკომთან შემდგარი 26 მაისის სადღესასწაულო კომისია დაიყო 4 სექციათ: 1) სამხატვრო-კულტურული, 2) საგიტაციო-საპროპაგანდო, 3) ფინანსიურ-სამეურნეო, და 4) საორგანიზაციო.

სამხატვრო - კულტურულ სექციაში შევიდნენ ამხ. კალაძე, ოკუჯავა, გ. რუსაძე და ს. ბოგდატიევი. საგიტაციო-საპროპაგანდოში —ამხ. ნუცუბიძე, მჟავანაძე და რ. კალაძე. საორგანიზაციო სექციაში შევიდნენ: ამხ. ალექსანდროვი, მარიამ ორახელაშვილი და ს. ბოგდატიევი. ფინანსიურ სამეურნეო სექციაში—ამხ. ბარონ ბიბინეიშვილი და ა. სვანიძე. კომისია აწარმოებს მუშაობას ამხ ბიბინეიშვილის თავჯდომარეობით. კომისიის მიერ გადაწყვეტილია 26 მაისის დღესასწაულის მოსამზადებელ მუშაობაში ჩააბას გრუკავროსტას მთავარი პოლიტიკური გამანათლებელი განყოფილების სახალხო კომის. ხელოვნების განყოფილება, მასწავლებელთა კავშირი, მწერალთა კავშირი, შევარდენის საზოგადოება და ბევრი სხვა ორგანიზაციები.

კომისიის დადგენილების თანახმათ 26 მაისის დღესასწაულის დღეს თბილისში საძირკველს ჩაუყრიან სამ ძეგლს: 1) ერევნის მოედანზე საქართველოს მშრომელთა მენშევიკებისაგან და ანტანტასაგან განთავისუფლების ემბლემა 2) იქვე შოთა რუსთაველის ძეგლი. 3) ვარანცოვის მოედანზე ვორონცოვის ძეგლის ადგილას კარლ-მარქსის ძეგლი.

კომისიამ დაადგინა სთხოვოს საქართველოს რევკომს დანიშნოს საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების ემბლემის შეჯიბრება 1.000 000.000 მანეთის ჯილდოს მიცემით. შეჯიბრების მოწყობა ევალება განათლების სახალხ. კომის. ხელოვნების განყოფილებას. ხუთშაბათს მაისის 19-ს საღამოს 8 ს. სასახლეში ოთახ. № 4. შესდგება კომისიის სხდომა სხვა და სხვა კულტურულ გამანათლებელ ორგანიზაციებთან ერთათ. ამ სხდომაზე წარმოდგენილი იქნება დღესასწაულის პროექტები, გამომუშავებული თვითეულ ორგანიზაციის მიერ მის კომპეტენციის საზღვრებში. ყოველ გვარ ცნობისა და ახსნა-განმარტებისთვის კომისიის საქმეების შესახებ უნდა მიმართონ კომისიის მდივანს ა. სალარიძეს.

## ბედის ღიმილი

სიცოცხლეში მწირს წილად ერთხელ გაეღიმება,
ერთხელ ქვეყნის წყალობა მწირსაც დაეწვიმება;
ერთხელ ბედი უმზეო მსუსხავ ცრემლით ნათრთვილი,
ზამთრის ფიქრშიც იფეთქებს ვით ალპ ის ყვავილი!

ზე ალმტაცი ოცნებით საარსებო მოედანს,—
სალამანდრას ჩირაღდნით ღამის ცეცხლად მოედვას;
ველურ ბრბოთა ბაგეთ ხმას ისე ახშობს და ფარავს,
ვით ჰახრაკი მილიდან მოძალადე ზამბარაკს!..

თვალი ფიქრთა სადავით ძლევის მერანს აგელვებს,
გულს ვით ვულკანს ცეცხლეულს—სრულ ექსტაზით აღელვებს,
ალტაცება მგოსნური ვნების ფერფლით ნარევში,—
ოქროს ფრთებით დაფრინავს ნეტარეთის მხარეში!

იფურფლება სიამე გრგვურ ცეცხლით ალული—
და გულს ისევ დაიპყრობს სევდა წუთით მალული;
ლტოლვა სდუმს და ვეჯარ ქრის ბედის დასაწევადა,
შავ ლექსისთვის ჩურჩურთმობს ფიქრში გესლის სევადა!

ბედშავ მწირის სიცოცხლეს ერთხელ გაეღიმება,
ერთხელ სოფლის სიამე მწირსაც დაეწვიმება;
ერთხელ ბედი უმზეო მსუსხავ ცრემლით ნათრთვილი
ზამთრის ფიქრშიც იფეთქებს, ვით ალპეთის ყვავილი!

მ. უზნაძე

## დასჯა-გასწორების განყოფილება.

გამასწორებელ სახლების უფროსების და მათ თანაშემწეთა თანამდებობაზედ კანდიდატების მოსამზადებლათ დასჯა-გასწორების განყოფილებასთან დაარსებულმა კურსებმა იწყეს მოქმედება. 16 მაისს გაიხსნა აღნიშნული კურსები ლექტორების და ადგილობრივ კომიტეტის წარმომადგენელთა თანადასწრებით. კურსები გახსნა განყოფილების კომისარის მოადგილემ ამხ. შურღაიამ. თავის სიტყვაში მან მოკლეთ დაასურათა დასავლეთში მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული საციხო მოძრაობის ისტორია და აღნიშნა სამი ხანა: ერთი— საფრანგეთის დიდ რევოლიუციამდე, მეორე — ამ რევოლიუციის შემდეგ პროლეტარულ დიად რევოლიუციამდე, და ამის შემდეგ იწყება მესამე ხანა; ეს ის ხანაა, სადაც ფართოთ ფრთებს შლის ამ დარგში შემოქმედებითი უნარი და მოღვაწეობა.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა რა გამასწორებელ სახლების ადმინისტრაციის როლი და კურსების მნიშვნელობა, რომლის მიზანია მიეცეს რესპუბლიკას შეგნებული, კეთილსინდისიერი და სრულიად მომზადებული თანამშრომელნი, დაამთავრა თავის სიტყვა სურვილით, რომ საბჭოთა აღმშენებლობის ამ დარგმა ეს პირველი პატარა ნაბიჯი წარმატებით იქნას დაგვირგვინებული, რომ იგი პირველ აგურათ დაედოს ქართველი ერის სახელმწიფოებრივ შემოქმედების საძირკველს და საბჭოთა რუსეთის საერთო შემოქმედებითი მუშაობაში მან პირველმა ხელი შეუწყოს მუშურ-გლეხური საქართველოს დამოუკიდებელ შემოქმედების გაზვიადებას.

მეცადინეობა დაიწყო 17 მაისს, სწარმოებს საღამოებით და იწყება ექვს საათზედ, ხუთშაბათს, 19 მაისს, პირველ ლექციას ფსიხოლოგიიდან წაიკითხავს პროფ. ახვლედიანი 23 მაისს რუსეთთან შეერთებამდე საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიიდან (მოკლე მიმოხილვა) კითხვას დაიწყებს გ. თარხნიშვილი. ამის გარდა კურსებზე დაწესებულია მეცადინეობა ქართულ ენის და საბჭოთა კონსტიტუციის შესახებ.

პროვინციიდან ზოგიერთმა კანდიდატმა ვერ მოასწრო ჩამოსვლა, რის გამოც მსმენელების მიღების ვადა გაგრძელებულია 21 მაისამდე.

ჩაწერვა ხდება სასამართლო დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქ. № 32) დასჯა-გასწორების განყოფილებაში.

ს. სურველია დიდ ქალაქებში ცენტრალურ გამასწორებელ სახლების უმაღლესს ადმინისტრატიულ თანამდებობათა კანდიდატებათ ყოფილი კადრის ოფიცრები ნამსახურობის დიდი სტაჟით. გამასწორებელ სახლების დანიშნულება სრულიად ახალია და თხოულობს მომზადებას და დისციპლინას.

## ახალი ამბავი

— **სახალხო განათლების კომისარიატის** სასწავლო კოლეგიის დადგენილების თანახმად უმაღლეს, საშუალო და საპროფესიო-სატეხნიკო სასწავლებელთა მთავარ გამგეს მიხეილ თაქთაქიშვილს მიეცა შვებულება ა. წ. აგვისტოს 10-მდე. ხსენებული მთავარი გამგის მოვალეობის ასრულება დროებით მიენდო ტფილისის ვაჟთა 1-ლი გიმნაზიის ინსპექტორს მიხეილ ზანდუკელს.

— **ლითონზე დამმუშავებელ ქარხნების კომიტეტთა კონფერენცია.** მაისის 15 დაიწყო ლითონის მრეწველობის კომიტეტთა მეორე კონფერენციის სხდომა, ამხ. მაჩაიძის თავმჯდომარეობით. კონფერენციას 21 წარმოების წარმომადგენელი დაესწრო. დღის წესრიგი: ქარხნის კომიტეტთა მიზანი, მოხსენება კავშირების მუშაობის შესახებ. მოხსენებები ადგილებიდან და მიმდინარე საკითხები. პირველ კითხვის შესახებ მოხსენება საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ოდილაძემ გააკეთა.

— **რკინის გზელების ბინებში ჩასახლება:** საქართველოს რკინის გზის წევის სამსახურის კომისარის მოადგილე ამხ. ბუსნიკაშვილმა რკინის გზის საბინაო განყოფილების თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, მოახდინოს განკარგულება რათა რკინის გზის მსახურთა ბინებში არ მოახდინონ ჩასახლება და აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურენი არ გადაასახლონ ხოლმე თავის ბინებიდან.

— **პროფესიონალური ცხოვრება.** შაბათს მაისის 14 ეფიანჯიანცის ქარხნის მუშებმა გამართეს მუსიკალური ვოკალიური საღამო. კონცერტის და წვეების წინ, პროლეტარულ კულტურის განვითარების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ედილსონი. საღამომ ცოცხლად ჩაიარა, მუშებმა დაადგინეს ამგვარი საღამოები ხშირად მოეწყოს.

— **ლტოლვილი ოსმალონი.** საქართველოს გარეშე საქმეთა კომისარის წინადადებით რკინის გზის სამართველომ შეძლება მისცა 310 ოსმალო ლტოლვილს ყარსით ოსმალეთში გამგზავრებისა, ამ ლტოლვილების გამგზავრების შესახებ თხოვნა აღძრა საქართველოში მყოფმა უმაღლესს ეროვნულ კრების მთავრობის წარმომადგენელმა. მაისის 16 ლტოლვილნი გაგზავნეს ყარსში.

— **პოეზიის აკადემია.** პარასკევს 20 მაისს საღამოს 6-ს საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება მორიგი სხდომა „პოეზიის აკადემიის“ ტიციან ტაბიძე წაიკითხავს მოხსენებას „საქართველოს პრობლემა“.

— **ახალი შტოები.** რკინის გზების გაერთიანება საშუალებას გვაძლევს პირდაპირ მივუდგეთ საქართველოს რკინის გზების გაფართოების საკითხს ახალი შტოების გაყვანის მეოხებით. ამნაირად მორიგი საქმეა შტოს აშენება ალაზნის ტყეებში იმ მიმართულებით, რომლითაც განზრახული იყო გაყვანა შუა ამიერკავკასიის გზისა, ესე იგი, გზა უნდა მოვიდეს ზაქათალამდე, გადაჰრას ალაზნის ველი და მოსპოს იქ სატრანსპორტო კრიზისი. როდესაც ჩვენ მივალთ სიღნაღის მაზრის საზღვარზე, ამით შევიძლებთ სურსათის მოტანას საქართველოს შუაგულში.

— პარასკევს, ა—წ. 20 მაისს ბათომს გაემგზავრება გერმანიის ელჩი რაუშერი ევროპიდან ჩამომავალ თავისი მეუღლისს შესახვედრად. მასთან ერთად მიემგზავრება გერმანიის კონსული დრიუმელი ბერლინში გასამგზავრებლად.

— **ტყვარჩელის ქვანახშირი.** მორიგი საკითხია აგრეთვე საკითხი ახალსენაკიდან ზუგდიდისა, ოჩემჩირისა და ტყვარჩელისკენ რკინის გზის შტოს გაყვანა. როგორ შეხედავს ამ პროექტს რევკომი, მე არ ვიცი, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ რაიონის მნიშვნელობა მეტად დიდია. ტყვარჩელში მადანია მილიარდ ფუთის საუკეთესო ნახშირისა. თუ მოვახერხებთ ქვანახშირის მიტანას ზღვაში, მაშინ შავ ზღვასა და ხმელთ შუა ზღვაზე კოლოსალურ სავაჭრო გავლენას მოიპოვებს ქვეყანა, რომლის ხელობებლობაშიაც იქნება ეს ნახშირის რაიონი, რადგან ტყვარჩელის რაიონიო ადვილად განდევნის იქიდან კონკურენტებს. მეორე რიგის გზებს ეკუთვნიან მნიშვნელოვანი ადგილობრივ ხალხისთვის შტო ქუთაის-ხონისა და სხვა. ამ სამუშაოების შესასრულებლათ რკინის გზების სამმართველოსთან დაარსებულია განყოფილება აშენებისა და ელექტროფიკაციისთვის. მის სათავეში სდგას საქართველოს რკინის გზების ყოფილი უფროსი ინჟინერი კაციტაძე. განზრახულია სამუშაოები ჰიათურისა და ტყიბულის რაიონებში. ეს სამუშაოები იქნებიან დაკავშირებულნი იქ ქვანახშირის და შავი-ქვის გამოღების განვითარებასთან.

## წერილი რედაქციის მიმართ

სტ. ამაღლობელი სწერს:

„კრების დასასრულს ქ-მა ელ. ციცქიშვილმა და ნ. მერულავამ უკადრისად მოიხსენიეს ჩემი პიროვნებაო“ აცხადებს ბ-ნი ამაღლობელი იმ პასუხის შესახებ რომელიც გაეცა მის მიერ წარმოთქმულ შეუსაბამო წინადადებას გამოწვეულს ამხ. ქალის რეპლიკის გამო. ამით ვაცხადებ რომ არავითარ სურვილს მისი პიროვნების „უკადრისად შეხებისას“ ადგილი არ ქონია, და თუ ბ-ნი ამაღლობელი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს მით უარესი მისთვის, ვინაიდგან საზომად მის შეფასებაში მხოლოდ მის მიერ წარმოთქმული წინადადება იყო, რომლის ღირებულების აწონვა ზედმეტად მიმაჩნია ერთხელ შემდეგ. ამით ვსპობ ამ საგანზე კამათს.

ნადია მერულავა.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი თრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** მიხეილ იუდას ძე რიჟინაშვილმა პირადობის მოწმობა, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1008

**დაიკარგა** კოოპერატივ „მეურნე“-ს წიგნაკი იოსებ დავითის ძე სიდავას სახლზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1009